ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4903103

ნომერი: AR1641155

თარიღი : 22.01.2020

გაცემის თარიღი : 17.03.2020

გაცნობის თარიღი : 17.03.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 109;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ალფა ბაგები კოდი: 405290732

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 25 დეკემბრის №AR1641155 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ცვლილების შეტანას სამსახურის 2018 წლის 7 ივნისის №4000565 ბრძანებაში.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2020 წლის 20 იანვრის №4828667 ბრძანებით და 2020 წლის 29 იანვრის №4839275 და 2020 წლის 21 თებერვლის № 4869867 გადაწყვეტილებებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
სამსახურმა, შეისწავლა თქვენ მიერ განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ხარვეზი კვლავ არ იქნა შევსებული. კერძოდ, ვინაიდან, ავტოსადგომების სავალი ნაწილის ფართობი შედის ავტოსადგომების საერთო ფართობში, საჭიროა -3, -2 და -1 სართულების გეგმებზე დატანილ იქნას ავტოსადგომის სავალი ნაწილის ფართობი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას 2018 წლის 7 ივნისის №4000565 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური -3, -2 და -1 სართულების არქიტექტურული გეგმები გასწორებული ექსპლიკაციით, ასევე გასწორებული შიდა ავტოსადგმების და საერთო ფართობებით. რაც შეეხება ღია ავტოსადგომებს აღნიშნული ფართობი სწორად არის დაფიქსირებული პირველი სართულის გეგმაზე.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 892018004353; მომზადების თარიღი: 09/01/2018) ქალაქ თბილისში, ერისთავის ქუჩა N8 ში, N 01.12.12.003.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ალფა რეზიდენსი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405195854), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,ალფა რეზიდენსი''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405195854) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ გიორგი ხუციშვილი და ზაზა ნიორაძე. 2018 წლის 17 თებერვლის №AR1577774 განცხადებაზე წარმოდგენილია გიორგი ხუციშვილის და ზაზა ნიორაძის მიერ გაცემული 2017 წლის 01 სექტემბრის მინდობილობა (რეგისტრაციის ნომერი: N171000945), რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 02 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2019 წლის 25 დეკემბრის №AR1641155 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.